

# საჩინო

12 587



საქართველოს  
სახელმწიფო  
ბიბლიოთეკა-მუზეუმი  
имена  
Акад. И. Грибачева  
Академия наук

კულაკი (ყოფილ თავმჯდომარეს — ოპორტუნისტს): — ეს რა ჰქენი? აკი დაგარიგეთ, რომ ისეთი არაფერი წამოგცდნოდა, რაც ჩვენს ხაზს გამოააშკარავებდა. სიტყვით ჩვენს წინააღმდეგ უნდა ყოფილიყავ, ხოლო საქმით ჩვენსკენ!



# არც იქით, არც აქეთ...

ბათლომესთვის, რომ გვიტხათ, ის არც მემარჯვენე იყო და არც „მემარცხენე“. ნამდვილად კი მემარჯვენე იყო და „მემარცხენეც“, უკეთ რომ ვთქვათ — მემარჯვენე იყო.

თქვენ რომ მისთვის გეწოდებით მემარჯვენე ან მემარცხენე, ის ამით არ აღშფოთდებოდა და პასუხს მოგცემდა:

— არც მემარჯვენე ვარ, არც „მემარცხენე“; მე ვიდექი და ვდგევარ პარტიის გენერალურ ხაზზე; მე სხედსავით თუთაყუმი არ გახლავარ. თუ მემარჯვენეს სწორი აზრი აქვს, ის უნდა მივიღოთ, თუ „მემარცხენე“ სა-მართლეს ამბობს, მას უნდა დაუჯეროთ! — და ბათლო-მე აღნიშნავდა მემარჯვენე - „მემარცხენეების“ თეო-რიის შთიერ რიგ დებულებებს, რომლებიც მას სწორად მიანდა.

— მართალია, ისინი ბევრ რამეში ცდებიან, მაგრამ დღეს ვინც არ ცდება. შეცდომა რომ არ იყოს, მაშინ არც თვითკრიტიკა იქნება საჭირო.

— ჩემი აზრი ასეთია—ამბობდა ის—რაშია ამხანაგები ცდებიან, უნდა მიუთითოს მათ შეცდომებზე, რაშია არ ცდებიან, უნდა დავეთანხმოთ.

ასეთ ორჭოფილო — შემართებულ — ოპორტუნის-ტულ პოზიციას ადგა ბათლომე უკნასკნელ დრომდის, სანამ მას კომუჯარედის სბლომაზე პირდაპირ არ დაუსვეს საკითხი:

— ბოლოს და ბოლოს გვითხარით, ბათლომე, ვინა ხართ, რა ხართ, ვის ემხრობით, ვისთან და საით მიდი-ხართ?

— როგორ თუ ვის ემხრობი? რას ამბობთ, ამხანა-გებო! ვინა ეჭვი შეგლით იმაში, რომ მე არც მემარჯვენე ვარ და არც „მემარცხენე“? მე, ამხანაგებო, თავიდა-ნვე გენერალურ ხაზზე...

— ვიცით, ამხანაგო ბათლომე, — შეაწყვეტინა მას სიტყვა კომუჯარედის მდივანმა, — შენ ის გვითხარი— უარყოფ თუ არა მემარჯვენეების და „მემარცხენეების“ ოპორტუნისტულ შეხედულებებს მთლიანად?

— მე არ მესმის ასე კითხვის დაყენება! — გაკვირ-და ბათლომე.

— კითხვა სწორად არის დაყენებული! — გაისმა ხმები.

— მე, ამხანაგებო, პარტიის გენერალურ ხაზზე...

— ვიცით, ამხანაგო ბათლომე, რომ შენ გენერა-ლურ ხაზზე დგებარ სიტყვით; გვინდა ვიცოდეთ — საქ-მით ვინ ხარ? გვითხარი, უარყოფ თუ არა მემარჯვენე-„მემარცხენეების“ ოპორტუნისტულ შეხედულებებს? — გაისმა კვლავ ხმები.

— ამხანაგებო, მე პროტესტს ვაცხადებ ასეთი ძალა-ღობისათვის. თქვენ არ მაძლევთ აზრის გამოთქმის სა-შუალებას.

კომუჯარედის მდივანმა მოუწოდა წესრიგისათვის. ბათლომემ განავრძო სიტყვა. ორჭოფულად და მიკი-ბულ-მოკიბულად შეეხო მემარჯვენე-„მემარცხენეების“ შეკვიპებებს...

ამავე დროს აღნიშნა ისიც, თითქოს პარტიის ზო-გიერთი წევრები მემარჯვენე - „მემარცხენეებთან“ ბრძოლაში აქარბებდენ.

— მესმის, დაუნდობელი ბრძოლა ბურჟუაზიულ პარტიებთან, მესმის ვებრძოლოთ შეუბრალებლად მტრებს, მაგრამ არ მესმის მემარჯვენე - „მემარცხენე-ებთან“ ისეთი ბრძოლა, როგორც ჩვენ ვაწარმოებთ. ისინი ხომ ჩვენი ამხანაგები არიან! მათ ჩვენ ამხანაგუ-რათ უნდა ველაპარაკოთ.


ბათლომეს საკითხმა გამოიწვია მწვავე კამათი.

ყველა იმ აზრს გამოთქვამდა, რომ ბათლომე თვა-ლაშაქებას ეწეოდა და მემარჯვენე - „მემარცხენეებ-თან“ შემარჯებლობის როლს თამაშობდა.

კომუჯარედმა დაადგინა: „ბათლომე ქანაობაშვილი გამორიცხულ იქნას პარტიის რიგებიდან“.

კომუჯარედის დადგენილება გადაეცა საკანტროლო კომისიას დასამტკიცებლად.

ყუმბარა.



## მიმაგრებულნი

აღვლელზე მიმაგრებული ამხანაგები არ მიდიან და-ნიშნულებს აღვლელზე და განაგრძობენ ქალაქში ყო-ფნას.

— გელოდებით ყარაიჯის... ბამბის დამზადების გეგმა...

— კაცო როგორ გამიკირვთ საქმე. ჩამომიტანეთ ბამბა, ქალაქში და აქ მივიღებ!



მოდით აქ და არჩევამდე  
გადავავლოთ ყველას თვალი.  
ღირსეული ავირჩიოთ,  
მოვიხადოთ ჩვენი ვალი.  
მეძარჯვენე - „მეძარცხენე“  
„ხელი ხელს ჰხანს, პირი—პირსო“  
იმითი გაუცრუვდათ,  
ორივენი მწარედ სტირსო.  
პარმენ სოფლის კულაკია,  
იგი არის ჩვენზე მწყრალი.  
კოლექტივი დავაარსეთ,  
პარმენ დარჩა ხახამშრალი.  
ჩვენმა მღვდელმა ანათორა  
შეიკერა გრძელ ხალათად.  
თმა და წვერი შეიკრიჭა,  
ესლა დადის ის ხალვათად.  
ეკლესია ჩვენს სოფელში  
გადაკეთდა უკვე კლუბად;  
ხუცესი და დიაკანი  
ბუნღუნებენ ორნივე რაჟბად.  
მთელი სოფლის რადიოა  
ჩვენი ხუცის ფოფოლია.  
პარიზიდან მუნწვევიებს,  
ელოდება, არ მოდიან.  
ჩვენი სოფლის აზნაური  
აბალაებს მინდვრად ძროხას.  
ხანჯალს მაინც არ იშორებს,  
შემოეხა კალთა ჩოხას.  
ღღეს ტრაქტორი მოგუგუნდა,  
მტრებს გაუჩნდათ გულის-მანკი,  
მღვდელს კულაკი ახუგეშებს,  
კულაკს — მღვდელი, (რა ჰქნან ან  
კი?).

ლიბი ჰქონდა წინედ ღიღი,  
როგორც ტიკში მაჭარია.  
მას თქვენ ყველა გამოიცნობთ,  
ის ყოფილი ვაჭარია.  
ბიუროკრატს აეტო უყვარს,  
ყვირილი და ტელეფონი.  
ისემც მამა უცხობდება,  
რომ გასცუროს დღე, ფონი.  
ეჭიშბაში მოსთქვამს, სტირის.  
საეჭიმო გახსნეს პუნქტი.  
ეჭიშბაშთან არ ვინ მიდის,  
წამლობა აქეთ ყველას მუქთი.  
ალმასკომის თავმჯდომარის  
ღვინო უნდა ორი ჩაფი-  
არჩევნებში ელოდება  
ქონიანი მას ნიჩაფი.  
საღებავით ტურს იღებავს  
ალესიენებს ფრჩილოებს დალაქს.  
კაბა მუხლზე არა სწვდება  
და აცინებს სოფელს, ქალაქს.  
ყველა ამათ საბჭოსავან  
უნდა ვუყუთ „განი-განი“.  
საბჭოებში ვერ გაძერება  
ველარც ერთი ამათვანი.  
საბჭოებში ჩვენ ავირჩევთ  
მუყაით და ნამდვილ მშრომელს  
ვინც ქმნის ახალ ქვეყანას და  
შრომას მისდევს დაუცხრომელს.

გლეხიშვილი.





# გ ა მ რ უ ლ ე ბ ი ს უ მ ლ ე ბ ი

სამი წელია პარტიის კანდიდატათ ითვლება დიმიტრი.

— რა ხარები გყავს, რა ხარები დიმიტრი ჩემო, მაგ ხარების და ცხენ-უნაგირის პატრონს პარტიაში ვინ მიგიღებს?

— ინგლისიდან გამოიწერე ეგ ღორები თუ სად იშოვე?

— რამდენს იწველის ეგ შენი ძროხები მიტრო?

ასე ეკითხებოდენ ხშირად პარტიკანდიდატს, სოფლის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრის.

— თითქმის კულაკია ეგ პირშავი, — ამბობდა ერთი.

— გაჩუმდი კაცო, პარტიკანდიდატი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კულაკი შეიძლება იყოს? მაგას ალბათ ეკუთვნის...

— კარგი თუ კაცი ხარ, კულაკობა ეკუთვნის? ასეთი წესი არ არსებობს...

— დასცხით კულაკობას, როგორც კლასს, — ხმა მალდა გაიმახოდა დიმიტრი კრებებზე. — მაგრამ ამ სოფელში კულაკი არავინაა... ამიტომ იერიში მეზობელ სოფლებზე უნდა მივიტანოთ და მათ დავეხმაროთ კულაკების მოსპობაში!

— კულაკი? თავზე საყრელად გყავს ჩვენც! — შეეკამათებოდა ვინმე.

— ეგ „მემარცხენე“ — მემარჯვენეობაა, ამხანაგო! აქ კულაკი არავინაა და შენ კლასობრივ ხაზს ამრუდებ! მაგისათვის იცი რა მოგეღის?!

„იქნებ მართლა გავამრუდე ხაზი“, — შეეჭვდებოდა მოკამათე და გაჩუმდებოდა.

ყველას უკვირდა ისიც, რომ იმ სოფელ ფაფუკში ვულაკებს არც ინდივიდუალურათ ბეგრავდენ, არც ზედმეტს ახდევინებდენ, არც განსაკუთრებული ბეგართ ტვირთავდენ.

— ვისი წყალობითაა ნეტა ასეთი შელავათები? — კითხულობდენ გლეხები.

— ვითომ არ იცი ვისით! ჩვენი მიტრო სარგებლობს, რომ თავმჯდომარე კურსებზეა გაგზავნილი და... — სსსუთ, ვაჟო, არ გაგიგოთ, თორემ...

მოისვენეს „საწყალობა“ კულაკებმა. თავს მშვენიერად გრძნობდენ და მადლობის ნიშნად დიმიტრის ხშირად უმართავდენ ქეიფს.

დადგა გადამწყვეტი ჟამი: სოფ. ფაფუკის საბჭო წარსდგა საანგარიშო მოხსენებით ამომრჩეველთა წინაშე. ჩამოვიდა მუშათა ბრიგადის ორი წევრი. დიმიტრი იმ დღესვე დაპატივა ორივე.

— თქვენი ჩამოსვლა ჩვენთვის საზეიმო შემთხვევაა... ამ პატარა სასმისით ვსევამ თქვენს სადღეგრძელოს, — და მიტრომ კვარტიანი ყანწი მოიყუდა, — ალავერდი თქვენთან!

— ჩვენ მაგით არ ვსვამთ, თითო-ოროლა ჭიქა სავმარისია!

— გამომისვით დანა ყელში! ეგ რომ არ დალიოთ, დიდათ მაწყენინებთ...

გაკერპდენ ბრიგადელები. რალაც ორიოდე ჭიქა ღვინო შესვეს.

გათენდა დილა.

— თქვენთვის ცხენები მზად არის, ამხანაგებო, — მხიარულად შეადო მასპინძელმა დიმიტრიმ კარი.

— ცხენები? რატომ?

— რატომ? — დაიბნა დიმიტრი, — თქვენ ხომ აქ

არ დარჩებით, ანგარიშს აქ ისეც ჩაებაბრებთ, თქვენ მეზობელ სოფლებს უშველეთ, იქ კულაკებით საცხეა ყველაფერი... აქ არც კულაკები გყავს და ხალხიც შეგნებულა...

გაჯიუტდენ ბრიგადელები. დარჩენ საანგარიშო კრებაზე.

— ჩვენი ყველაზე მეტი მიღწევა, — დაიწყო კრებაზე დიმიტრიმ, — ის არის, რომ ამ სოფელში არავითარ გადახრებს არ ქონია ადგილი და ორ ფრონტზე ბრძოლით მტკიცედ ვატარებთ ხაზს... კულაკები მოვსაბეთ და საბჭოც გავაჯანსაღეთ, შიგ უმთავრესად ბეჯითი და კარგი ოჯახის პატრონი გლეხები შევიყვანეთ... თვით ჩვენი ღვდილიც იმდენათ მოქცევიანდა, რომ გაიკრიჭა, პლატფორმაზე დადგა და ახლა საკრედიტო ამზ-ბაში მუშაობს მოლარეთ, დიაკვანიც ეპოში მოვაწყეთ ნოქრათ. ასე, რომ ჩვენში ანტისაბჭოთა ელემენტები აღარ არიან.

რალაც საშინელი კამათი მოყვა ამ მოხსენებას. ბრიგადელების ყოფნით გამხნეებული ღარიბები ცეცხლითა და მახვილით გამოვიდენ მიტროს წინააღმდეგ...

და დიმიტრი არა მარტო გადაირჩიეს და საბჭოდან გააძევეს, ასე გასინჯეთ, პარტიკანდიდატობიდანაც მოსხნეს.


— მეტისმეტი მოგივიდა, მიტრო, — ეუბნებოდენ მას მეორე დღეს დაძმარებული კულაკები, — ახლა თავიც დაილუპე და ჩვენ ხომ გავგანაღდურე... ვინდა დაგვინდობს!

— რატომ ფეხი არ მოტყდათ იმ წყეულ ბრიგადელებს! — იწყევლება მიტრო, — ინდაური დავკალი, გოჭი და ქათმები არ მომიკლია და ყველაფერი წყალში ჩამიყარეს. ერთი ვიცოდე, ან ეს ხაზი ვინ მოიგონა, ან მისი გამრუდება, ან ეს ვადახრები?!

ბმარსიტი.

## ერთგული გადია

გერმანიის კონსტიტუციის 48 პარაგრაფი პიენზურგს დიდ უფლებებს ანიჭებს. გერმალი თავს არბეინად გრძნობს.







პირველი მგელი: — შევხვართი ხომ ზედავთ—ცხვარია  
მეორე მგელი: — რას ამბობთ ეს „ჩვენი ძმია“ ხოლო ცხვრის ქურქშია



# დ ვ უ რ უ შ ნ ი კ ე ბ ი

(იომორესტკა)

დღეგრეტორკაზე  
 იქ, სადაც ყაფანია,  
 სხედან ჯგუფებად თუ გაფანტულად  
 ლოთები.  
 წინ: გულგონი... ქიქები!... ბოთლები!;  
 მეღვინე — „სირაჯი“,  
 ეს მწარმოებელ გლეხის ახალი მირაჟი  
 ნაძვლილად — მატყუარა ჩარჩი,  
 ჩამჯდარა ამ ხალხში,  
 დარღმინადობს: ღვინოს უყავს თუ... იყოღს  
 ერთი სიტყვით: „დღურუშნიკობს“!...  
 — მიერთვით კახურს!...  
 ჯერ არსად ნახული...  
 ღვინო, წითელი...  
 „ამთენი“... იმთენი“!...  
 და...  
 სვამენ!..

ზედ ტარის კუდებსა სქამენ...  
 ღვინო...  
 მიწას წითლად სვრიან...  
 აჭაც „დღურუშნიკობენ“ წინაშე წითელი ფერის...  
 შემდეგ — ხისა, ქვისა, სვეტის, საერთოდ  
 — ვერტიკალურის ყველაფერის!...  
 ღამის ბნელში,  
 მჭიჭით და კვარტით ხელში,  
 დაბრუნებულნი, მოდიან ქუჩაზე:  
 წინ, უკან თუ განზე...  
 გადაიხრებიან მარჯვნივ...  
 გადმოიხრებიან მარცხნივ...  
 ერთი სიტყვით: „დღურუშნიკობენ“!  
 და ლოთურ წყურვილს ყოველდღიურად ასე  
 იტრობინ...  
 ოი, ლოთებო, თქვენსა მზესა!  
 სთქვით: მართალია თუ არა ესა?  
 და მერე როგორა გგონიათ: ამაში სცოდავს მარტო  
 დღეგრეტორკა?

სალდათის ბაზარზე, სადაც ვანქის ტაძარია,  
 აბა, მიბრძანდი იქა!  
 ეს ხალხი იქაც ისევე ჯგუფ-ჯგუფად ჩამსხდარია...  
 მათ წინ — იგივე: ტიკი, კვარტი თუ ქიქა,  
 გარემოცულნი ამ ლოთურ ჯგუფებით,  
 ფეხებზე — ქუსლ-წათელილ წულეებით,  
 ხელეშოც — თავებიდან მოშვლებილ ქუდებით!...  
 ცხადია, თავი ხურს!  
 ხუხავენ თეთრსა თუ წითელ კახურს,  
 სქამენ ბოლოც, ხახვს, პრასას თუ ნიახურს...  
 შემდეგ კი „დღურუშნიკობენ“ ქუჩებზე:  
 ხის მორგებებსა, რკინის ზოლებსა თუ ქვებზე...  
 ბორძიკობენ... იქცევიან...;  
 იფინებიან... იფურთხებიან...; ინთხევიან...;  
 მერყეობენ, ქანაობენ თუ ირხევიან,  
 საერთოდ კი — წინ ძლივს ძლივობით მიდიან  
 ეს ლოთთა ამჩატებული ფეხები...  
 მხოლოდ ვინ არიან ისინი, მათზე რომ ღვინოს ჰყვი-  
 რიან?

გგონიათ: მწარმოებელი გლეხები?  
 ეს ყასიდი სირაჯები.  
 ძველი მიკიტნების გახლავან მირაჟები!  
 შეხვეულან ახალ ქურქებში,  
 ჩამსხდარან ამ ლოთურ ჯგუფებში...  
 (პირდაპირ ქუჩებში!)  
 ქალაქში რაც ღვინო შემოდის, ასე იყოფენ!  
 ერთი სიტყვით: „დღურუშნიკობენ“!  
 ათრობენ ხალხს,  
 იკეთებენ დაბლს...  
 დამდგარა მათთვის სრულიად ახალი ერა!  
 საერთოდ — უცვლიათ რაღა, სახე!...  
 იქნებ ვისმე ეს არა გჯერა?  
 მაშ, მიდი და სალოთარის თაოლით ნახე!...  
 ონისიმი.

# რ ა დ ი მ რ ა ი მ ნ ი დ ა ს

ყვლავ ხელში ვიღებ ფოლადის კალანს,  
 მინდა მოვმინჯო წყობა რითმების.  
 მოესცხოთ იქ, სადაც უცქერით ვარამს,  
 ვთქვით სიტყვა, სადაც ვამოთქმების.  
 თავზე ბალანი უკვე ამიღვა,  
 ზოგთან კიდევაც ბოროტი დავრჩი.  
 რას ვხედავ ამას, თვალი დამიღვა,  
 საიდან გაჩნდა ამდენი ჩარჩი!  
 ვარ ბრიგადირო მომარაგების,  
 ჯიბეში მანდატს მეტრო აქვს განი.  
 დაედივართ ერთად ამხანაგები,  
 შემოვიარეთ სვირი და ვანი.  
 ვიძახი ასე: ნეტა რა მოხდა!  
 საქმე უზურში რით არ ჩამდგარა?  
 გუშინ რომ ჩარჩებს სული ამოხდა  
 საფლავებიდან ისევ ამდგარან!

აგერ ეილაც კუთავს ბებერი,  
 აუკილია ტიკები მხარზე.  
 ამზობს: — „გახლავარ პენსიონერი“  
 უკვე ცოცხლდება საღვურის ზარზე.  
 ყოფილს ქალაქის მიკიტანს დახეთ.  
 მას სამარადლოთ აუკრფს ბარგი.  
 ოთხ გლეხს აკიდა გულეში ვნახეთ,  
 მას შეუცვლია ამრიგად დიარგი.  
 აქ კი ტვილისის დალაქსა ვანოს  
 მიუტოვია სარკე და დანა...  
 რამდენი ვინდათ, რომ მოვიყვანო,  
 მაგალითს ვინმე ჩამოთვლოს განა!  
 მესმის მორღობამ იყვია დიდი:  
 — ზაიმ, თუმანი მიეცი ფუთში —  
 და უპატენტოთ ვით ინვალიდი  
 ელასტიურად ალაგებს ყუთში.

რა არ აღგება, როდესაც იმათ  
 ზრინ უცქერის, არ უწევს ყურსა.  
 ავანსებს აძლევს გლეხობას წინად  
 ყურძენს აყენებს, ქირაობს კურსა.

ველი ტარტაროზს შენს ახალ კანონს  
 შენ გენაცვალოს ძნელოდლი სულში.  
 ძნელოდლი.





მგზავრები: — ხარი და კამეჩი რომ მიგყავთ, ჩვენ წაგვიყვანეთ.  
 მოსმარი: — ესენი იმითმ მიგყავს, რომ — გზებზე როცა ავტო ტალახში ჩაფელება, ამოღებაზე მოგ გესმარებინა!

## ჩემი შეზოგბელი

ჩემისანა კეთილი მეზობელი არ მგონია რომ ვინმეს ჰყავდეს. იმდენათ შეტყვიათ ჩემზე გული, რაც უნდა უხბიშენლო რამე მოხდეს ჩემს ოჯახში, აუცილებლად უნდა გაიგონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ავით ხდებიან. იყო ასეთი შემთხვევა: მეწვია ერთი ნაცნობი კაცი. ეს ამბავი ჩემ გეთილ მეზობლებს არ გამოპარვიათ. სტუმარმა რალაც ორი საათი დაპყო და ისევ ვაუღვა თავის გზას. მისი წასვლა და მეზობლების ოთახში შემოხველა ერთი იყო. ერთმა მკითხა სტუმარის ვინაობა, მეორემ — მისი სოციალური მდგომარეობა, — მესამემ — სად მსახურობს და რამდენს იღებს ჯამაგირს, მეოთხემ — პარტიულია თუ უპარტიო, მეხუთემ — ვკლესიაში თუ დღიარება, მეექვსემ — რამდანი ჰყავს სარჩენი... და სწვა.

ამ ორი დღის წინედ ასეთი ამბავი მოხდა: ერთი ნაცნობი ქალი მეწვია,

ეს ამბავიც ჩემი მეზობლების „შორსმჭვრეტელ“ თვალებს არ გამოჰპარვიათ — მაშინვე მოიყარეს თავი ფანჯარასთან. სტუმარმა ადრე ინება წასვლა, თორემ ისეთ სრულ ანკეტას წარმოადგენდენ, რომ ვერც კი შესძლებდა მის შეკუბას. იმის ვალდებულსაც კი მხდინ, რომ ყოველ-დღიური ანგარიში ჩავაბარო ჩემი ყოველდღიური თავადასავალის შესახებ.

და, აი, როცა აივსო მოთმინების ფილა უცბათ უჩინარმა ძალამ ყურში ჩაშურჩულა: — შე უხვირო, როდემდი უნდა იყო ამ არამკითხე მირისუფლების გაელენის ჭევში დასწვრე წერილი და გაუგზავნე ყოვლად ძლიერ ტარტაროზს. იგი ისეთ მავარ ლავამს ამოსდებს, რომ სულ დაავიწყებს მთ სხვის საქმეში ხელის თათურს.

მეც მოვივლე კალამს ხელი და დავწერე სატარტაროზო წერილი, რომელიც ჩავდევი კონვერტში და ის იყო ვაბირბდი ფოსტაში ჩავდებამ, რომ ჩემმა მეზობლებმა ჩვეულებრივ შემოაღეს კარები და ერთხმათ შეხეკითბენ:

— რომელ შეყვარებულს სწერ მგ წერილს?

ფცი და ძტიცება არ გამოვიდა, ერთმა მათგანმა ხელიდან გამოშტაცა წერილი.


— უკაცრავად ბოძანდებით! — ცხვირ აწვეით გადმოხედეს ჩემმა მეზობლებმა და ოთახიდან გავიდნენ.

— აბა ენახით მგ წერილი დაბეკდილი „ტარტაროზში“ და მერე ჩვენ ვიცით! — დამემტკრენ ისინი.

ჯანიც ვაგარდეს. დღე, მოხდეს რაც მოხდება.

კირ. საფინიხილი





მანქანის ხმაურობა ბეჭდვის დროს მთელ ოთახს აყრუებდა, მაგრამ რეგისტრატორსა და საქმის მწარმოებელს ყური შეჩვეული ჰქონდათ.

ვაზის თანაშემწე, რომელსაც მემანქანის ოთახის გვერდით ჰქონდა კაბინეტი, ნერვიულობდა მანქანის ხმა ურობაზე, თუმცა მის კაბინეტში ძალიან სუსტათ ისმოდა მანქანის ტიკტიკი.

— ყველაფერი გამოიგონეს, მაგრამ უხმო „რემიგტონის“ გამოგონება არ იქნა — ფიქრობდა ის და დაცინვით ამბობდა: — აბა თუ კაი ბიჭები არიან ჩვენი ქუშა-გამომგონებლები, გამოიგონონ უხმო მანქანა.

მაგრამ „მეცნიერება და ტექნიკა“ არ ზრუნავდა ამაზე და მემანქანე ქალი ისევ განაგრძობდა ბეჭდვას მანქანაზე.

— ეს ოჯახდაქცეული ისე მაგრად სცემს თავის თათებს, რომ გვეგონებათ ბაქსიორის ხელთათმანები აქვს წამოცმული ხელზე; უხმო ყველაფერში უხმო!

და ერთ დღეს მოთმინებიდან გამოსულმა თანაშემწემ გამგეს მოახსენა:

მემანქანე სარკეში იცქირებოდა და ტუჩებზე საღებავს ისევამდა.

უკაცრავად! ხელი ხომ არ შევიშაღეთ... უხერხულ დროს შემოველ! — მოიბოდიშა თანაშემწემ.



ამ:


— არა უშავს... როგორ გეკადრებათ! — განაზღა მემანქანე.

— ასე მიყრუებულ ოთახში როგორ გაძლებთ მარტოკა! ჩემთან გადმოდით კაბინეტში. ეს უფრო უმჯობესია საქმისათვისაც. მე გიკარანახებ და თქვენ დაბეჭდავთ... და იხვენს კაბინეტში აჯობებს!

დარაჯი და დამლაგებელი ქალი სიცილს ვერ იმაგრებდნენ, როცა „მემანქანის მოწყობილობა“ თანაშემწეს კაბინეტში გადაჰქონდათ.

აკი თქვენ მემანქანე „იქ“ გადაიყვანეთ, რადგან ამ ოთახში თითქოს ხელს გიშლიდათ მანქანის ხმაურობა! — ეშმაკური ღიმილით უთხრა გამგემ თანაშემწეს.

— ჰო, დაბა! მაგრამ, საქმე იმაშია, რომ რაციონალიზაციასთან დაკავშირებით და იმიტომ, რომ საქმემ ასე მოითხოვა, აქ გადმოვიყვანე. მე თვითონ უკარანახებ და იქ სიარულში დრო აღარ დამიკარგება.



— მემანქანე ქალი თუ არ გადავიყვანეთ იმ ოთახიდან სადმე შორს ჩემგან, მუშაობა არ შემიძლია. ყურები მტკიავს. პირდაპირ ჩაქუჩივით მცემს თავში მისი მანქანის ხმაურობა.

იმ დღესვე მემანქანე ქალი შორეულ ოთახში გადაიყვანეს.

თანაშემწეს აღარ ესმოდა მანქანის ხმაური.

— მოვიხეხე! — ამბობდა დამშვიდებული თანაშემწე.

თანაშემწე აღარ შედიოდა მემანქანის ოთახს. სამუშაოს საქმისმწარმოებლის ხელით უგზავნიდა.

მემანქანე ქალი შევბუღებულადაა წაყვიდა.

მის მაგიერ ახალი მემანქანე მოიწვიეს.

ერთ დღეს საქმის მწარმოებელმა თანაშემწეს ახალი მემანქანის მიერ გადაბეჭდილი მასალა შეუტანა კაბინეტში.

— ეს რასა ჰგავს! ამდენი შეცდომა გაგონილა გადაბეჭდვას? ბრუციანი ხომ არ არის ის ოჯახდაქცეული, რომ ასოებს ვერ ამჩნევს და სტრიქონები ირიბულად გამოჰყავს! — გაბრაზდა თანაშემწე და გულმოსული წაყვიდა მემანქანესთან.

— სახეში მივაყრი ამ გადანაბეჭდს! — ფიქრობდა დღერეფანში მიმავალი თანაშემწე.

კარები უცბათ შეიღო და...



მთელი ერთი თვე მემანქანე ქალი თანაშემწის კაბინეტში მუშაობდა. მანქანის ტიკტიკი თანაშემწეს ისე ატკობდა, როგორც კარგი ოპერა.

მემანქანის შევბუღებიდან დაბრუნების წინა დღით თანაშემწემ დარაჯსა და დამლაგებელს ისევ გადაატანა „მემანქანის მოწყობილობა“ „შორეულ ოთახში“.





მრისტი: — მოლად გამოსულელდა ეს საწყალი ღმერთი, მას ჰვანია — თითქოს მორწმუნეთა დღეობაა!



# მ ა მ ი ს წ ე რ ი ლ ი

(ფიათურა — მოსკოვი)

მამულისათვის თავდადებულო შვილო ვახტანგო!

ბოჰო, ამ ოჯახ ჭორმა კომუნისტებმა ქე არ ჩაგვაშხამეს მე და დედა-შენს შენთან ჩამოსვლა მოსკოვში! ამიხიბდნენ: დასაბუთებული ანგარიში წარმოგიდგინე — რაში რა დაჩარჯე და ვის რა მიეციო ექსკურსიისათვის მოგროვილი ფულგებიდანო.

დასწყველოს ღმერთმა და სამის სამოცდა ხუთმა წმინდა გიორგიმ ამათი თავი! მამა უტყონდათ მათ საბუთებს წარმოდგენდი, რას მიქარავენი? ფულგები ხომ შესანახავად არ მოლუციათ! დაჩარჯე რაშია? საჭიროებამ მოითხოვოსო. მეც ავდექი და დავხარჯე გემოზე, რაც გადამრჩა და უჯომონია გავეკეთე, ის კიდე გადავუძახე კოლოფში შავი ღღისათვის. (და შარტილაც შავი ღღისათვის დამჭირდა. ამანე უფრო შავი დღე განა როდისმე დამადგება, ესლა რომ მე მადვიას!).

ჩამაცივდნენ და აღარ მომეშენენ: — რაც ფული გადაგჩა, დავებრუნეო. ისე მამა უტყონდა მათ, მე მათ ფულგები დავებრუნეო. ცივი უარით გვარიანი მაგარი ბრაზი დავაყოლე: — თქვე ყურუშაბდებო, რა ფულგები დავებრუნეთ- სახარჯოთ აკი მომეცით და კიდეც დავხარჯე, შესანახათ განა ხომ არ მოგობარებიან-თქო.

მაგრამ ათასობრივ არ გამოვიდა, ხომ იცი, შვილო, რომ ესენი თქვენზე, მენაიკებზე, უფრო მაგარი დისციპლინის ხალხია, მაგრად მოპკიდეს ხელი და იმ გადამალულ, ორიათასი მანეთიდან ჯერ მხოლოდ 600 მანეთამდე მომამჩინეს.

აღსუს- ჩემი ეკომონით და რეჟიმ ეკომონით ჩამორჩენილი და ექსკურსანტების ნაშიმშილარო ფულგებო! ეს, ჩემო თავო ოხერო, ეს რა სიგლასე ჩავედინე! თუ ასე წავიდოდა საქმე, რას დაგვძებდი ეკომონის, ბარემც ისეც იმ მშვიერი ექსკურსანტებისათვის მეჭმია. აწი კი რაც შეიძლება ვეცდები, რომ დანარჩენი 1400 მანეთი მიინც აღარ ჩამომართვან. მე ჩემი, შვილო, ესლა კიდეც ძალიან მაგრად დამაბანლურე-


ბენ სამსახურიდან; ამას აქედანვე უნდა შენიგდეო.

მგონია ვერაფერი მიქნან, რადგან თბილისში და აქაც ბევრი დამხმარეები მყავს, მხოლოდ ესლა შენ გაფრთხილებ: ხომ იცი, ამ ღვთისაგან დაწყვე კომუნისტებს ობობასაგით ყველგან ქსელი აქეთ გაბმული და შენიგება აღმინისტრაციამ დავკითხოს: ამა შენ ნაღდ ფულად შენთვის ხომ არაფერი დაუტოვებია... შენც მოკლეთ და მოჭირთ უპასუხე „აოაფერი თქო“. მერე დამუწე ტუჩი და დაადე ბოქლოში ვნაზე მაგრად, არამც და არამც არ წამოგაცდევინონ, თუ ოცდაათი თუმანი ნაღდად დაგიტოვე, თორემ ქე მე გეცენ, რატომ დაუტოვეო.

ამ წერილს დაზღვევულს გიგზავნი, სხვას არავის ჩაუგდო ხელში. ისეც კი მაგრად და დიპლომატიურად დაიკაფე თავი. მენაიკებთან იმენაიკივე, ბოლშევიკებთანაც იბოლშევიკე, თავად - აზნაურთან შენც ითავალ-აზნაურე. თავი ისე გეჭიროს, ვითომ თავადი ხარ და ვინც არ გიცნობს ისე მანდ ყველას გააცანი თავი გრუზინსკი კნიაზ ბარიატინსკი ვართო. მართალია, თავად - აზნაურობის წოდება მოგვიშალეს, მაგრამ ჯერ კითხი აქვს ფასი და ვასავალი.

ასე ჩემო შვილო. მამაშენი გვეარსი ბარათაშვილი. წერილის ხელში ჩამედები კვანძი.

## ჩვენებური სტუმრობა — ნუ ჰგონია ხუმრობა



— სად მიბრძანდებოთ მთელი ოჯახი და ნათესაობა?  
— ქალაქში მივდივართ, ჩვენს სიძეს ორი ოთახი უშთვნიან.



სიონლის „ეპოს“ გადარჩევები დამთავრდა.

შეორე დილით „ეპოს“ ყველა მოსამსახურე ადრიან გამოცხადდა სამსახურში. ელოდებოდნენ ახალ გამგეობის და განსაკუთრებით კი ახალ თავმჯდომარე გეტრქამ იარალიანს მობრძანებას. ყველანი ადგილებზე ტოკავდნენ და კარებისაკენ იყურებოდნენ.

უცბათ კარი გაიღო და... ყველანი ფეხზე წამოხტნენ და მისასაღმებლად თავი დახარეს, მაგრამ თავმჯდომარის ნაცვლად შეეჩებათ მეურნე გიორგა.

ერთხმად გადაიხარხარეს...

როცა ხარხარი მიწყდა, გარედან მაღალი ხმა გაისმა. ყველა გაქვავდა. ახალი გამგეობა მობრძანდებოდა.

— ეი, ბიჭო, შენ ამიერიდან აქ კარებში გაჩერდები და უნებართვით არავის შემოუსვებ; ეყოთ აჭამდე რაც თავის ნებაზე ისეირნეს. — პოისმა ხმა.

— ბატონი ბრძანდებით; როგორც მობრძანდით ისე მოვიქცევი, მაგრამ შიკრიკის მოვალეობას ვინდა შეასრულებს?

— შენი საქმე არ არის! — მკვებთ უპასუხა გეტრქამ, — სხვას დაეჭირავებთ.

კარები გაიღო და შემოვიდა გეტრქამ მთელი თავის ამალით. მიიხედ-მოიხედეს და შევიდნენ კაბინეტში:

— აქ ჩვენ ყველა ვერ მოვეწყობით, ახალი კაბინეტები უნდა გავმართოთ.

დაადგინეს: „ამ საქმეზე გადაიღოს 2.000 მანეთი“.


შემდეგ გამოიმუშავეს განაწესი, თუ ვინ უნდა დაიდგას ცალკე ტელეფონი, ზარი და სხვა.

თავმჯდომარე გეტრქამ ჩამოსწერა:

- 1 ზარი — ბუღალტერს;
- 2 ზარი — მოანგარიშეს;
- 3 ზარი — საქმის მწარმოებელს;
- 4 ზარი — მოლარეს;
- 5 ზარი — საწყობის გამგეს;
- 6, 7, 8, 10, 15; 20; 30—ზარი.

როცა თავმჯდომარე ერთდღეულად რამდენიმე თანამშრომელს გამოიძახებს და ზარს დარტყა — გეგონებათ შენობაში ტფილისის ტრამვაის ახალი ვაგონი შემოიჭრა და ვატმანი ხალხს აფრთხილებს ზარების რეკითხ.

მორიგელო.



— არიქა! პური იზრდება! კონდუქტორი — კი არ იზრდა, „თევზის კამპანია“ ვატარებ.

თავმჯდომარე გეტრქამ იარალიანი

### წერილი ზვილს ქუთაისიდან

„ვილო ანტიპ! რამ დეგამუტჯა სახეაქრობის კედლის გახუთივით და წერილს აღარ მიწერე?“

აქაურ ამბავს თუ იკითხავ, ყველაფერი რიგზეა, გარდა მუსკოპისა. ქუთაისის საღვთრზე მიღებულ ნავთი, უკანვე დააბრუნა, — არ გვიწინდა მეტი, ადგილი არ გვაქვსო.

გვგზავნი, „ვილო, ერთ წყვილ მატყლის წინდებს ნავთის „ოჩერედში“ დგომის დროს მოქსოვილს.

შენ რომ იწერები — ვანია ოროვს რა მოუვიდაო, არაფერი იმისთანა: სულ მალაზის გამგებთან ჰქონდა ძმური კავშირი. მიშამ და ვანიჩკამ (მალაზის გამგეებია) უხილეს და უხილეს რჩეული შალტოვაი, ფენსაკელები, ფართალი და თუ რაიმე კარგი ჰქონდათ გადანახული მალაზის უკანა ოთახში, სამაგიეროთ ორლოვმა უფუჭაშა მიშას პარტიაში შესაძრომი ექვსი თვიანი სტაჟი. ამიზა ქე დაადგეს ორლოვი ჰონიან ნიჩაბზე, მარა „ღმერთი არ გასწარავს კაცს ბედისაგან განაწირსა“ ახლა ისევე ახალი პორთფელით დადის.

„ვილო, სამა მარგველაშვილს უწინ „მემარცხენე“ წყალობდა, ახლა მემარჯვენე ოღონდა და ფერომარჯვენეში ჩააფლო.“

ქე ამზობდნენ და არ მჯეროდა, მარა აწი დევიჯერებ, რომ „მემარცხენე“ — მემარჯვენეს ვატრებდი ყვარუბით, თვარა მარგველაშვილს რა უღდა სამსახურში!

მაგ კი არა და, რა გვიგონა ჩემბა დასაფსებმა ყურებმა! ვასილე ძოწენიძე, ქე რომ ვატრობდა მეთევზელში, მალაზიანაშიაც სამიკტრო ჰონდა მგონი, აი ის, კიბულაში და ერენუეს დუქანში არღნებზე რომ უყვარდა ჩეიფი, თავზე ბოთლების დაღვმა რომ იცოდა, ქე რომ სახლები ეიშენა ჩვენს ზევით მახარაძის ქუჩაზე, — სწორედ ის ვასო „გოსტოვში“ გამაგის მოადგილეთ ყოფილა ახლა.

გამსახლში „ვილო, აღზაღ იმდენი პატიმრებია ამჟამად, რომ იასონა კოსტავამ 2.500 მანეთი შეუკამა მუსკოპს, მარა ადგილი ვერ მიუჩინის.

შენი დედა.



# „ღმერთმა ინებოს“

(სცენა ქუთაისის განათ. მუშაკთა კავშირში)

**მელიტონი:** — არიქა, არიქა, მიშველეთ, ქაოსს კანცელარიაში გული წაუვიდა. მაჯა აღარ მუშაობს, ფერი ფერი დაკარგვია და გულსაც ცემა შეუწყვეტია (მივარდება ტელეფონთან) წკრ - წკრ-წკრ... სადღური! სადღური! სადღური! დაგეჭვა ოჯახი... არიქა ფეხით მაინც გამეგზავნეთ კაცო თორემ შემომაკვდა ავადმყოფი ხელში!

**ვანიკა:** — დაურეკეთ კიდევ სადღურს, იქნებ ესლა მორჩენ შეყვარებულ გზეუ ლაპარაკს.

**მელიტონი:** — სადღური! სადღური! სადღური!

- რა გნებავთ?
- თქვენი ჯანდაბა. მომეცით სასწრაფო დახმარება.
- საავადმყოფო?
- სასწრაფო დახმარებას გთხოვ. არ მოგეცეთ არაფერში დახმარება.
- ნომერი მოთხარით.
- 1-90.
- ტელეფონი „უუე“ აღარ აქვთ მათ!

- მომეცით, აბა, ჯანმრთელობის გაყოფილება.
- ქალიშვილები ელაპარაკებიან მათ და არ სცალიათ.
- აბა წითელი ჯვარი მომეცით!
- მზად არის, დაურეკეთ!
- საიდან არის?

— გისმენთ საბჭოთა აბანოს მოკრეფ.

— კაცო, რათ მინდა აბანო, მომეცით წითელი ჯვარი, ვაგაწერათ ჯვარიცა და ხატიც.

— წით. ჯვარი გინდათ? აგრე იტყოდ, შე კაცო!


— წკრ... წკრ... წკრ...

— გისმენთ წითელი ჯვარი.

— თუ ძმა ხარ, ქე იცით თქვენს ახლოს არის განათლების კავშირი. თანამშრომელი ძალიან ცუდათ განდა და საჩუქარით გამოგზავნეთ ექიმი.

— ამხანაგო, ჩვენ ექიმებს არსად ვგზავნით. თუ ჩვენ ვესაქიროებით, თითონ მოვიდეს ავადმყოფი ჩვენთან.

# ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა



— ჩემ სახლში წამოიღე ამხანაგო ეს საქონელი! მგზავრი: — არ ენდო კოპერატივის ნოქარია; თავის სახლში წაიღებს!

— კაცო, შედით მდგომარეობაში, თანამშრომელი გვიკვდება და ვამომიგზავნეთ ექიმი, უკიდურეს შემთხვევაში ფერშალი მაინც, რომ კამფორა შეუშაპუნოს.


— ფერშალს, კარგი გამოგვგზავნით; დაათავეს აგრ რალაც 40-მდე ავანტყოფის ნემსის გაკეთებას და წაშოვა.

სათის თერთმეტზე ველირსეთ წითელ ჯვრის ფერშლის მოსვლას.

— ეს არის ავადმყოფი? ჰაა, ცხა-

დია ცუდათაა, მაგრამ რა ვაეწყობა. მე ნემსი წამოვიღე, მაგრამ ქაფურ არა მაქვს, თუ თქვენ გააქვთ, შეშაპუნებას არ დაგამადლოთ, თუ არა და რა ექნა, მე ხომ მისი გამზადება არ შემიძლია. დაუძახეთ „სასწრაფო დახმარებას“, მაგრამ ის სამი დღია რემონტშია და ოთხი დღე კიდევ დაავიანდება. მე მივდივარ... რა ვაგაკეთო აუ! შეიძლებით. ღმერთმა ინებოს მაგის მორჩენა.

შვილი



კულაკი: — სად მიხვალ, სად, — ჩემო გადამალულო ქონება!




**მის დასთვალოს რაუდენი, ცოდვები გაჰვს რამდენი.**

სადგურის უფროსი რაუდენ მგელაძე ცნობილი შავრაზმელია. მისი წარსული შავით არის შემურული. რაუდენი არ ჩამორჩება მის გვარის-ცაც დიმიტრი მგელაძეს, რომელიც გურიაში ცნობილი შავრაზმელი იყო.

**მცოდნე.**

მუშები-თქო თავს დამესხენ შურს ეძებენ ჩემზედაო. დამიჯერეს და მთელ სოფელს მაგრად სცემეს ზურგზედაო; რაუდენისო შეწუხება კაცმა როგორ გაბედაო, სახლისკაცი რითი არას უკეთესი ჩემზედაო?



— მართლაც გასაკოჰავია ამ სადგურის უფროსი!

რაუდენმა სთქვა: ჩემთვის ვზივარ ვერვან შოვა ჩემზედაო, საკოჰაოს მივმალულვარ აგარაკის მთაზედაო.

აქ ვიგონებ წარსულ დღეებს, ხალხს რომ ვაჯექე ზურგზედაო. ვაცსწიე და გამოვსწიე ისევ დავრჩი თავზედაო.

ძველ დროს ცემში თავის ოთახს თვით დავესხი თავზედაო.

ქვით ფანჯრება ჩავულწიე, ჩირაგვში ვიჯექე მთაზედაო.

უანდარმს ვუთხარა:—დამიფარეთ, ღმერთს ვლოცულობ თქვენზედაო.

ჩვიდმეტში მეც შევიცვალე იმდროინდელ ფერზედაო.

თითქოს ძალზე გამიხარდა მე ვღვებოდა ცერზედაო. მენშევიკნი რომ წავიდნენ სევდა მაწივს გულზედაო.

გავიხებე სერზედაო, ელა მეცა გულზედაო: დავინახე — მუშგლეხკორი აგერ მოდის ჩემზედაო.

გამწივენ და გამოწივენ, ცოდვებია შენზედაო. ამომკრავენ პანდურსა და გამაგლებენ თხლეზედაო.

**დეკემბა ნიგვზიანიდან**

**ნიგვზიანი.** დღეს დღით ნოქარი ჭიჭიკო კოოპერატივის კარებს ალბდა, შიგნიდან საშინელი ღრალი მოესმა. ჭიჭიკოს შეეშინდა—კოოპერატივის ძარცვავენ ქურდებიო, და გაიქცა მილაიციაში. მაშინვე დაიძრა შეიარაღებული მილიცია რომელიც ქურდებს კოოპერატივის გარშემო ჩაესაფრა. როდესაც კარი გააღეს (შალიციას თოფები მომარჯვებული



ჭკონდა სასროლად), კოოპერატივიდან გამოეყარა ორი შეყვარებული ძალი, რომლებიც ექვე შეიპყრეს. ერთერთი ძალი ჭიჭიკოსი აღმოჩნდა. ზარალი უმნიშვნელოა. გულმოსულმა ჭიჭიკომ შესაფერა ზომები მიიღო ძაღლების განსაქორწილებლად. გამარჯვებული და ომგადახდილი მილიცია ბანაზე დაბრუნდა.

**მნახველი.**

**ვასო მაჭაცარიამ კოლექტივი აკრია! სოფ. ზუზდილი**

თავისი ცუდი მოქმედებითა და საქციელით ვასო მაჭაცარიას არაკლობა შეაქვს ადგილობრივ კოლექტივში.

ვასომა სთქვა: კოლექტივში ნმას ვინ დაძრავს ჩემზედაო? თუ გაბედა,—ვინ მის ტყავს, ეტირება მას დედაო. ღვინის სმაში ვინ მაჯობებს, კვარტს ვიწურავ ფრჩხილზედაო. მთელს კოლექტივს დაგაყენებ ყვირილითო ფეხზედაო. რა ვუყოთ, რომ ბევრი ფული ირიცხება ჩემზედაო. სიდაც ვიყავ ბლომად გავკარ, ქონად მადევს კუჭზედაო.



კოლექტივის ბეჭედი ვასო მაჭაცარიას პროექტით.

ხელს მაფარებს ჩემი სიძე, კან რას იტყვის ჩემზედაო, ტყუილად ხომ არ მკილია რევილცერი წელზედაო?!

**ნიგა ფერულის სიძლარა (ძირულა)**

აბა დელი, რაშო-რერა, ოდელია, დელი, დელა... ძველებურად საქმეს ეხლაც ვაქახრაკებ ნელა-ნელა.

თუმცა აქ ჩემი ცული ქცევით მთლად გლვებობა გადმეტერა. მეჩე რაა, თუ მიწოდის: მლიქნელი და გაიძვერა-ლარბია თუ მლიღარი სულ ერთია ჩემთვის ყველა. კოლექტივის წევრს გასაშინჯს ვაშლებ ზურგზე თუმანს ხელად.

არ მაქვს ნება და ყალბ რეცებტს მინც ვწუწამ უღარდელად; ხელს კვაჭურად ვაწურ-ქიმ ნიორაძის მაგიერად.

ტაში ტუში, რერო-რაშო, ჩემო ცოლო, ჩემო მაშო... ყარადლებას არ გვაქცივენ ვიჯირითოთ ვიპარაშოთ.

**ძირულელი თაღა.**



## ბ ა თ ო შ ი

ტელეფონი რომ მშვენიერი არის კავშირიათვის, დღეს ეს ყველასათვის ნათელია. აი, მაგალითად, გიღვით ტელეფონი მაგიაზე; სრულიად შეუწყობდა, (თუ მორიგე ქალი გაჯაფრებული არ არის) გააბავთ საუბარს ერთიანად გინდათ.

შეყვარებულთათვის ხომ ტელეფონი მისწრებაა! ვერც გაწითლებას შეგამჩნევს სატრფო და უფრო თამაშადაც ლაპარაკობ.

ერთი სიტყვით ტელეფონი მეტად საჭირო რამ არის.

ეს წინასიტყვაობა იმისათვის დაგეგირდა, რომ ბათუმის ცნობილ აბანო „ლონდონში“ ახალი გამოყენება აქვს ტელეფონს, შეგიძლიათ ჩვეულებრივ აილოთ ტელეფონის მილი, ჩასძახოთ შგ ბარბიტონით (ბასი ხომ კიდევ უკეთესია), და შეუტკეოთ აბანოს ხომეოი. მიხვალთ დაბინჯულ დროზე და ორასი კაცი რომ იდგეს რაგში, იმ წუთშიაი მიხვალ საბანოდ ნომერში.

კონსტენკო



— აბანაგო, ურიგოთ არ შეიძლება!  
— როგორ თუ ურიგოთ! ტელეფონით შეუტკეოთ!

## მართი კოვზით

## ხ ა თ ა



სტენა ზოგიერთ სახადილოში

— ჩამოდი ეხლავე ძირს! მრისბანედ შეძახა სოფრომას მილიციელმა და თან მაგრად წაელო ხელი ფარაჯის კალთაზე.

— რატომ! რას მერჩი? მერჩარება, მინდა წავიდე.

— ჯერ გადაიხადე „შტრაფი“ და მერე სადაც გინდა იქ წადი.

— რისთვის მახდევინებ „შტრაფს“! ვანა სოფლელებს არა გეაქვს უფლება ამ ვერანა ტრამეიანზე დაეჯღუთ!

— ნება როგორ არ გაქვთ, მაგრამ შენ რომ ჯდებოდი, არ იყო სულ მთლად გაჩერებული ტრამეი.

— ხომ დაეჯექი! ხომ არაფერი მტკენია! ხომ არავინ შემეწუხებია! რას მერჩი?

— თუ ბევრს ილაპარაკებ, მენეთი კი არა, ხუთი მანეთი ვერ გიშველის! — დაემოქრა მალიციელი გ. ხორაშვილი.

— რაღა ჯანი ჰქონდა! გადაიხდა ჯარიმა სოფრომამ. მილიციელს კი ქვითარის მიცემა „დაავიწყდა“.

წავიდა მეორე ვაგონით.

ომერის თეატრთან ჩამოხტა.

— მოქალაქე, გადაიხადე „შტრაფი“! — დაუყვირა მას მილიციელმა.

— „შტრაფი“ ეს არის ეხლა ვადეიხადე „ერევენცხე“.

— რა უყოთ, რომ იქ გადაიხადე! ახლა „გოლოვინცხვადე“ უნდა გადაიხადო.

— რათა? რისთვის!  
— იმისათვის, რომ ოქანიდან ჩამოხტი.

— მერე რა უყოთ! ვერა ხედავ რამდენი ხალხი გაჩხირებულა შუაში? მე სანამ წინამდე მივილოდი, ხომ წავილოდა ეს ვერანა! თუ აგრეა და ისეც წავალ ამ ვაგონით...

— ჯერ ჯარიმა გადაიხადე, და მერე სად აინდა იქითკენ წადი.

გადაიხდა სოფრომამ ჯარიმა და გაემგზავრა.

მუშკოპის წინ ჩამოხტა, მარა ვაი მისთანა ჩამოხტომას.

— სად გარბობარ! გადაიხადე „შტრაფი“! — შეყვირა მას მილიციელმა.

— ვაცო, თქვენ შემოჩენილი ხონ არა ხართ! ვინ გვონივართ მე თქვენ!

— დაიყვირა მოთმინებელთან ვაგონსულმა სოფრომამ.

— მაშ, ასეა საქმე! აბა წამობობანდით კომისარიატში და იქ გამოვეარკვევ ვინცა ხარ.

— რატომ, გეთყუა, რაშია საქმე?

— საქმე იმაშია, რომ შენ მიმავალ ტრამეიდან ჩამოხტი.

— ჩიუ რა ბრალია, კონდუქტორი უნდა დაშტრაფო, რომ გაჩერება დაავიწყდა.

— გაჩერება გადატანილია! იძერე ჩქარა თვლიანი მანათი!

ძველა



# შეპითხვები და პასუხი

ალმ. თამაშვლომარის მოხსენების გარეშით

**შეკითხვა:** — როგორც თქვენი მოხსენებიდან ჩანს, თქვენ ამ საანგარიშო პერიოდში ჯერ-ჯერობით ვერაფრის გაკეთება შესძელით. მოკლეთ რომ ვსთქვათ, ვერ უვლიდით სოფელს.

**პასუხი:** — როგორც თუ ვერ უვლიდით კვირა ისე არ გაივლიდა, რომ ორჯერ მაინც არ შემომველო მთელი სოფელი ჩემი ცხენით. გაკეთებით კი, ეხლა გავცანხი მდგომარეობას და მომავალში გავაკეთებთ. „აჩქარებითა სოფელი არავის მოუქამია“...

**შეკითხვა:** — მიეცით თუ არა ყალბი მოწმობა კულაკის შვილს, თითქოს ის ყოფილიყოს საშუალო გლეხი?

**პასუხი:** — ამხანაგო, ალბათ თქვენ არ გესმით სიტყვა „ყალბი“. მოწმობა ყალბი საიდან იყო, როცა ხელიც მე თვით მოვაწერე და ბეჭედიც ჩემი ხელით დავაწვი?

**შეკითხვა:** — მიღწევაში რომ აღნიშნეთ — 350 ბაგმის დაბადება, რა საერთო აქვს ამ საქმეს თქვენს მუშაობასთან?

**პასუხი:** — როგორც თუ რა! ამ „350“ ბაგმითა რიცხვში ორი ჩემიც ურევია.

**შეკითხვა:** — გვინდა თუ არა კულაკური გადახრა?

**პასუხი:** — არა ყოველთვის; როცა დამპატიებდნენ, მხოლოდ მაშინ გადაუხრიდი ხოლმე.

**შეკითხვა:** — რატომ არ არის შეკეთებული სკოლის შენობა?

**პასუხი:** — მე როგორ უნდა შემეკეთებინა, როცა არც ხის ხელობა ვიცი და არც ქვის; ვინც იცის, მათ არ შერცხვით და არ შეაკეთეს.

**შეკითხვა:** — რამდენი კაცი დაიხრია საანგარიშო პერიოდში ჩვენი სოფლის შარა-გზების ტალახებში?

**პასუხი:** — ეგ მე პირველად მესმის! ჩვენს სოფელში ჯერ-ჯერობით იმხელა ტალახი არაა, რომ მუხლის ხევით წვდებოდეს კაცს.

ძაბუნძი.



— კაცო, კოლექტივში კულაკი გვირახებ როგორ მიიღეთ?

— არ იცი რა ოხერია! შემოგვეპარა ის წყუღლი!

# გოღოგრი 15

პირაპიტას (ძირულა) გელაშვილის შისახბი სწერით

როცა ჩვენ აქ შევეუდექით

არჩვენების სამზადისსო—

ეს დავითი დაფაცურდა,

ძირულაში მუდამ ხდისო.

წუხების ვნახე სიზმარი

სახქოს ვუდექი თავშიო.

ძველი დრო მაგონდებოდა,

აღარ ვეტიე ტყავშიო.

ხომ გაგაკონიათ — „მელას რაც აგონდებოდა...“ — ვე ვისიზმრებოდაო“ ალბად დავით გელაშვილიც მელას ჯიშის ყოფილა. მელას ჯიშის ყველა სიზმარი რომ ხდებოდეს, მაშინ ოპორტუნისტების „წინასწარმოკვეთება“, რომელიც მათ სიზმარს ემყარება, ამდენხანს ახდებოდა. **პიკსს (ბათომი).** ჩვეულებრივი მოვლენაა; ამნაირ საქმეს ყოველთვის ასეთი ბოლო აქვს. ამიტომ რა გასაკვირია, რომ:

რაკანაძე „გარუზგოსტორგში“

ფულით გაძა ვაიბერა

ვატუზდა და გადიდაცადა,

ჩვენი მან არ დაიჯერა...

ქო-და, ახია მასზე თუ:

„ოგეკეუმ“ დაიბარა,

გამოპკითხა მას ამბავი;

გამოპკითხა და შემდეგ კი

შიგ გამსახლში უკრა თავი.

საქმი ის არის, რომ გამსახლიდან ისევე „გარუზგოსტორგში“ არ ანოჟყოს თავი. (ასეც ხომ ხშირად ხდება).

**ლამაზს (აქვე).** ლამაზი კაცი თუ ასეთ უშრო ლექსს სწერს, ვერ არის კარგი საქმე:

„დადგა ზამთარი, შემოდგომის უგულო დამე“.

ეს როგორ! ზამთარს არა აქვს თავისი დამე. გაგვაგებინეთ — ზამთარი შემოდგომისაგან მართო დამეებს სესხულობს, თუ—დღეებსაც?

**ბრ. ქაქაბზ.** როგორ გაკირებულ მდგომარეობაშია არ უნდა იყოს სტუდენტი, ასეთი ლექსის დაწერა არ ეპატიება. საკვირველია, არავინ გაიძულებთ ლექსის წერას და თავს მაინც რატომ იმტყრევთ ამ ბლაგვ რითმებზე!

შევედივართ რა თქვენს გაკირებულ მდგომარეობაში, გიბეჭდავთ შემდეგ ტაგანს:

სტუდენტთა სახალილოში

მიწრიალდება გულია.

იქ აღეზაზე სადილის

უნდა შესცვალო რჯულია.

რატომ არ ვეატყობინებთ, თუ რომელი სარწმუნოებისა ხართ და გამოცვლის შემდეგ რომლის მიღებას აპირებთ!

**ნიშადურს (დუშეთი)** გვწერთ, რომ პურის დამზადებაში დააშინა „უბოს“ გამგეობის თავმჯდომარე მანჯგალაძე, რომელმაც

ცრემლი დგარა კულაკებზე:

„ცოდვა არის... ნუ ვსთხოვთ პურსო

თორემ გზაში დამხვდებიან,

ამიწვევენ მაგრად ყურსო.

ნუ შემარცხვენთ მე იმათთან.

სიტყვა მივეც — დავიფარო.

საშუალო და ღარიბებში

რაც შეგკრბით — ის ვიქმარო.

ნიშადური თანვე გაქვს. ხოლო თუ საჭიროა ქონიანი ნიჩაფი, გამოგვგზავნი.



# გაცივებული „თბილი ქაპკანია“

1930  
 ბიბლიოთეკა-მუზეი  
 იმენი  
 Акад. И. Гришашვიли  
 Академия наук ГССР



ოპორტუნისტი: (მღერის) „ჩვენ მხარი მივხდეთ ჩვენს ჩაგრულ მოძმეს, კულაკებს ხელი ჩვენ გაუწოლოთ“.